პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №

ქ. წყალტუბო აგვისტო, 2021 წელი

2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს -საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაცია) შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 45-ე მუხლის მე–9 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 2 აგვისტოს №02/08/01 განკარგულების საფუძველზე:

1. განისაზღვროს 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) თანდართული დანართის შესაბამისად.

2.დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებს გადასცეს 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისათვის წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაცია) განსაზღვრული შენობა- ნაგებობების ნუსხა №58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

3. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაცია) შენობა- ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 სექტემბრის № 36 69 განკარგულება.

4.განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მოამზადა ი.დოლაბერიძე

შეთანხმებულია მ.ფანჩულიძე

მ.კანკაძე

2061

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის აგვისტოს № განკარგულების
დანართი

2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაცია) შენობა- ნაგებობების ნუსხა

- საკონცერტო დარბაზი „ივერია" - ქალაქი წყალტუბო (პარკის ტერიტორია).
- გეგუთის კულტურის სახლი -წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. გეგუთი.
- დღნორისის ბიბლიოთეკა--წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. დღნორისა.
- მაღლაკის კულტურის სახლი-წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. მაღლაკი.
- სოფ. დერჩის კლუბის შენობა-წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. დერჩი.
- სოფ. მუხიანის კლუბის შენობა -წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხიანი.
- სოფ. საყულიის კლუბის შენობა-წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. საყულია.
- სოფ. ოფშკვითის კლუბის შენობა-წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ოფშკვითი.
- სოფ. ქვილიშორის კლუბის შენობა-წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვილიშორი.
- სოფ. მეორე უბნის კლუბის შენობა-წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. მეორე უბანი.
- სოფ. ცხუნკურის კლუბის შენობა-წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ცხუნკური.

2062

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაცია) შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ 2021 წლის 10 აგვისტოს კომისიის სხდომაზე განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 6 აგვისტოს 48-482121854 წერილი, რომლითაც წარმოდგენილი იქნა განკარგულების პროექტი - 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაცია) შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ.

კომისიამ მოიწონა წარმოდგენილი პროექტი და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტი გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს რიგგარეშე სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
მურმან შალამბერიძე

2063